

მანანა ჯავახიშვილი
ასოცირებული პროფესორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

მარი ბროსე და ქართული ისტორიული წყაროების თარგმანი

თეზისები: ფრანგი მეცნიერი, მარი ფელისიტე ბროსე (1802-1880) ევროპული ქართველოლოგიის ფუძემდებლადაა მიჩნეული. მან მოღვაწეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო. ამ პერიოდის ევროპაში მრავლად არსებობდა მასალები საქართველოს შესახებ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცნობები აღწერილობითი ხასიათის იყო და შორს იყო სამეცნიერო კვლევისაგან. სწორედ მარი ბროსე იწყებს საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, გრამატიკის, ნუმისმატიკის, სფრაგისტიკის, მეტროლოგიის, ქრონოლოგიის და სხვა ჰუმანიტარული დისციპლინების მეცნიერულ შესწავლას წყაროთა შედარებისა და კრიტიკული ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ღვაწლი საქართველოს ისტორიის, კერძოდ, *ქართლის ცხოვრების* კრებულითა ტექსტების ფრანგულ თარგმანებში. XIX საუკუნის შუა წლებში მარი ბროსემ *ქართლის ცხოვრების* ტექსტების ფრანგულ ენაზე თარგმანით ახალი სიცოცხლე შესძინა საქართველოს ისტორიას, გააცნო ის ევროპულ საზოგადოებას. ამ საკითხს მან 7 ტომი მიუძღვნა. მან არა მარტო თარგმნა, არამედ კომენტარები და განმარტებები დაურთო ქართულ ისტორიულ ტექსტებს, რაც იმის ნიშანია, რომ მკვლევარი სიღრმისეულად გაეცნო ქართულ ისტორიულ ნარატივებს. ჩვენი ინტერესია მარი ბროსეს მთარგმნელობითი მოღვაწეობის ანალიზი, იმ თავისებურებების გამოვლენა, რომლებიც თავს იჩენს ისტორიული წყაროების თარგმანისას: ონომასტიკის, ტოპონიმიკის, ისტორიულ პირთა თუ სხვა სახის ტერმინოლოგიური სირთულეებისა და, ზოგადად, ორ ენას შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინების კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: მარი ბროსე, ქართველოლოგია, ისტორიული წყაროების თარგმანი

Abstract: French orientalist Marie Félicité Brosset (1802-1880) is considered as the founder of European Kartvelology. He began his work in the first half of 19th century. There was a lot of materials and documents about Georgia in Europe at the time, but it should be noted that these references were descriptive and far from scientific research. It is precisely Marie Brosset who begins the scientific study of Georgian history, literature, grammar, numismatic, sphragistics, metrologies, chronology and other humanitarian disciplines using comparative and critical methodologies. He made a great contribution to the French translation of the texts of “The Georgian Chronicles“. In the mid-nineteenth century, Marie Brosset by translating the texts of “The Georgien Chronicales” into French, brought new life to Georgian history and introduced it to the European society. He dedicated the seven volumes to this issue. He not only translated, but also added the comments and clarifications to the Georgian historical texts.

Analyzing or identifying the features that appear in Marie Brosset’s translation process of historical sources is our research interest, namely, onomastics, toponymics, historical persons or other terminological complexity and generally the differences between the two languages.

Keywords: Marie Brosset, Kartvelology, Translation of historical sources

ევროპული ქართველოლოგია და მარი ბროსე

XIX საუკუნიდან ევროპელი მეცნიერები აღმოსავლეთის ქვეყნების ცივილიზაციების შესწავლას იწყებენ, ვითარდება ორიენტალისტიკა. მათ შორის, აქტუალური გახდა კავკასიური ცივილიზაციის და მათ შორის, ქართული ენისა და ისტორიის შესწავლა, რასაც დიდი ადგილი ეთმობოდა ევროპაში, განსაკუთრებით კი საფრანგეთში.

1822 წელს პარიზში დაარსდა აზიური საზოგადოება – Société Asiatique. საზოგადოების დამფუძნებლები და აქტიური წევრები იყვნენ: ს. დე სასი, აბელ-რემიუზა, სენ-მარტენი და სხვ. საზოგადოების პროგრამაში საუბარი იყო ქართული კულტურის შესწავლის აუცილებლობაზეც. აზიურ საზოგადოებას ასევე ჰქონდა საკუთარი

ჟურნალი – *Journal Asiatique* (აზიური ჟურნალი), რომელიც 1822 წლიდან გამოიცემოდა. ჟურნალში იბეჭდებოდა სამეცნიერო სტატიები, დოკუმენტები და მასალები აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურისა და ისტორიის შესახებ. 1825 წელს ახალგაზრდა მკვლევარი, მარი ბროსე ამ საზოგადოების წევრი ხდება და აზიურ ჟურნალში საქართველოს შესახებ საინტერესო მასალებს აქვეყნებს (ტაბალუა, საფრანგეთის სააზიო საზოგადოება და მისი ორგანო „სააზიო ჟურნალი“ 138). ამავე პერიოდში ევროპულ ქართველოლოგიაში ორი სახელგანთქმული ორიენტალისტი, სენ-მარტენი¹ და კლაპროტი² მოღვაწეობდნენ. მარი ბროსეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევარი შ. ხანთაძე წერდა: „მე-19 საუკუნის 20-იანი წლებისათვის ევროპულ ქართველოლოგიაში მოიპოვებოდა დიდძალი აღწერილობითი ცნობა საქართველოს შესახებ, ევროპის სხვადასხვა პუნქტში თავმოყრილი იყო ქართული სიძველეები, ხოლო ცალკეულ საკითხებზე არსებობდა მეცნიერული გამოკვლევებიც“ (ხანთაძე, ნარკვევები ევროპული ქართველოლოგიის ისტორიიდან 153).

სენ-მარტენი იყო პირველი ორიენტალისტი, რომელმაც ყურადღება მიაქცია შუა საუკუნეების ქართულ ეროვნულ ისტორიულ ნარატივს, თხზულებათა კრებულს – *ქართლის ცხოვრებას*. მისი სამეცნიერო ინტერესები ძირითადად სომხეთის ისტორიაზე იყო ფოკუსირებული და საქართველოს ისტორიით იმდენად იყო დაინტერესებული, რამდენადაც ის სომხეთის ისტორიის შესწავლის კუთხით იყო მისთვის საინტერესო. სენ-მარტენმა ახალგაზრდა სინოლოგს მარი ფელისიტე ბროსეს შესთავაზა ქართველოლოგიური კვლევების განხორციელება (ბარამიძე, მარი ბროსე და საქართველოს ისტორია 164). ეს უკანასკნელი პოლიგლოტი გახლდათ, მრავალ ენას ფლობდა, მათ შორის სწავლობდა სომხურ და ქართულ ენებსაც. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ბროსე დაუკავშირდა პეტერბურგში მცხოვრებ თეიმურაზ ბატონიშვილს, რომელიც უხვად ამარაგებდა ფრანგ მეცნიერს საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული ისტორიული დოკუმენტებითა და ცნობებით (*Ibid.*).

1. ანტუან ჟან სენ მარტენი – იგი ხელმძღვანელობდა აზიურ საზოგადოებას, იყო პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. მას აქვს შექმნილი შრომები არმენოლოგიაში. ქართული მასალები მან გამოაქვეყნა თავის შრომებში სომხეთის ისტორიაზე. *ქართლის ცხოვრების* დახმარებით მან შეძლო, კომენტარები დაერთო სტეფანოზ ორბელიანის თხზულებებისათვის.

2. ჰენრიხ-იულიუს კლაპროტი – სწავლობდა აზიის ისტორიას. 1807 წელს სამეცნიერო ექსპედიციით იმყოფებოდა კავკასიაში, იმოგზაურა საქართველოშიც (1807-1808 წლებში), საქართველოს მან რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა.

ამგვარად, მარი ბროსეს კვლევის მთავარი თემა გახდა საქართველოს ისტორია. 1837 წელს იგი საფრანგეთიდან პეტერბურგში ჩავიდა, რათა იქ საქართველოს ისტორიის შესწავლა დაეწყო. პეტერბურგში ის დაუკავშირდა იქ მცხოვრებ ქართველებს, რათა მეტი ინფორმაცია შეეგროვებინა საქართველოს ისტორიაზე (სურგულაძე, *მარი ბროსე – საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროების მომპოვებელი და პუბლიკატორი* 149). მარი ბროსეს ქართული ისტორიული დოკუმენტების შეგროვებაში ეხმარებოდნენ სიმონ ტაბიძე, პეტრე ქეზაძე, პლატონ იოსელიანი, ნიკოლოზ ქუთათელაძე, სულხან ბარათაშვილი, დიმიტრი მეღვინეთუხუციშვილი, რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე და მრავალი სხვა ქართველი ინტელექტუალი (ბარამიძე, *op. cit.* 164).

განსაკუთრებით აღსანიშნავია მარი ბროსეს ღვაწლი საქართველოს ისტორიის, კერძოდ, *ქართლის ცხოვრების* კრებულის ტექსტების ფრანგულ თარგმანებში. XIX საუკუნის შუა წლებში მარი ბროსემ *ქართლის ცხოვრების* ტექსტების ფრანგულ ენაზე თარგმანით ახალი სიცოცხლე შესძინა საქართველოს ისტორიას, გააცნო ის ევროპულ საზოგადოებას.

მ. ბროსე წლების განმავლობაში მუშაობდა *ქართლის ცხოვრებაზე*. 1849-1858 წლებში მან გამოსცა *ქართლის ცხოვრება* 7 ტომად – *Histoire de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'au XIX^e siècle*. ამ ნაშრომში მან შეიტანა არა მხოლოდ *ქართლის ცხოვრების* თხზულებები, არამედ სხვა ისტორიული წყაროებიც. მ. ბროსემ ასევე შეისწავლა *ქართლის ცხოვრების* სომხური თარგმანი, რომლის ერთ-ერთი ხელნაწერი სწორედ მან აღმოაჩინა. ბროსემ დაამტკიცა, რომ *ქართლის ცხოვრების* სომხური ტექსტი ქართულიდან იყო თარგმნილი. *ქართლის ცხოვრებაზე* მუშაობისას ბროსე ცდილობს, პასუხი გასცეს უმთავრეს შეკითხვას: არის თუ არა *ქართლის ცხოვრება* მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც იმსახურებს ყურადღებასა და შესწავლას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად იგი ამ წყაროს სანდოობის დასადგენად სხვა ისტორიულ ძეგლებს, დოკუმენტებსა და საბუთებს იშველიებს და ამგვარად *ქართლის ცხოვრებას* მნიშვნელოვან ისტორიულ ძეგლად წარმოაჩენს. ბროსესეული შვიდტომეული არის ახალი სიტყვა ევროპულ ქართველოლოგიაში. მან არა მარტო თარგმნა, არამედ შეისწავლა, კომენტარები და განმარტებები დაურთო ქართულ ისტორიულ ტექსტებს, შეადარა სხვა ისტორიულ წყაროებსა და დამატებით დოკუმენტურ მასალებს. ამ მხრივ მისი ღვაწლი ქართველოლოგიაში ფასდაუდებელია. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „საქართველოს მეთოდური მეცნიერული შესწავლის მეთაურად უცილობლად უნდა ფრანგი მარი ბროსე იქმნეს ცნობილი“ (ჯავახიშვილი, *თხზულებანი*, ტ. 10, 6).

ჩვენი ინტერესია მარი ბროსეს მთარგმნელობითი მოღვაწეობის ანალიზი, იმ თავისებურებების გამოვლენა, რომელიც თავს იჩენს ისტორიული წყაროების თარგმნისას: ონომასტიკის, ტოპონიმიკის, ისტორიულ პირთა თუ სხვა სახის ტერმინოლოგიური სირთულეებისა და, ზოგადად, ორ ენას შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინების კონტექსტში.

ბროსეს მიერ ქართლის ცხოვრების ტექსტების თარგმანებიდან, მაგალითისათვის შევარჩიე მე-12 საუკუნის ქართველი ანონიმი ავტორის, დავითის ისტორიკოსის თხზულება – *ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი (ქართლის ცხოვრება 318-364)*. ეს ტექსტი საინტერესოა არა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით, რამდენადაც საქართველოს ისტორიის ყველაზე სახელოვანი მეფე-მონარქის, დავით აღმაშენებლის ისტორიის ქრონიკაა, არამედ მდიდარია ონომასტიკური და ტოპონიმიკური მასალით.

რა არის ამ ისტორიული წყაროს მარი ბროსესეული თარგმანის თავისებურება? რა ძირითადი მახასიათებლები შეგვიძლია გამოვყოთ ტრადუქტოლოგიის თვალსაზრისით? მივყვეთ თანმიმდევრობით ტექსტის თარგმანს.

იმ დროს, როდესაც მარი ბროსე *ქართლის ცხოვრებას* ფრანგულ ენაზე თარგმნიდა, სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგიის უცხოურ ენაზე და, მათ შორის, ფრანგულ ენაზეც, თარგმანის საკითხები, ცხადია, ნაკლებად იყო დამუშავებული (სურგულაძე, *op. cit.* 154). ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ბროსეს ამ თვალსაზრისით ყამირის ათვისება მოუწია.

დავითის ისტორიკოსის ტექსტში მოცემული სოციალური ტერმინოლოგია (წოდებები, ტიტულები, თანამდებობები) ბროსეს უცვლელად გადააქვს. მაგალითად, აზნაურები – Aznaours, დიდებულები – Didebouls, ასევე უცვლელად ტოვებს ტოპონიმებს, საკუთარ სახელებს. თუმცა ზედწოდების შემთხვევაში თარგმანს მიმართავს. მაგალითად, აღმაშენებელს (დავითთან მიმართებაში) თარგმნის Constructeur, ხანაც – Réparateur.

გარკვეულ ტერმინებს კი იგი მეტწილად შინაარსობრივად თარგმნის. მაგალითად, მამული – Possession, Domaine, Propriété (მფლობელობა, საკუთრება), მემამულე – Propriétaire (მესაკუთრე), კელოსანი (თანამდებობის პატრონი) – Percepteur (Fonctionnaire chargé(e) de la perception des impôts directs, des amendes). ამ შემთხვევაში გასაგებია მთარგმნელის დამოკიდებულება საკითხთან, რადგან თითოეულ კულტურაში, რაც არ უნდა მსგავსი სოციალური ინსტიტუტები თუ ანალოგები არსებობდეს, შინაარსობრივი თარგმანით იგი თავს არიდებს ერთ კულტურას მეორე კულტურის ტერმინოლოგია მოარგოს

(მაგალითად, „domaine“-ის ხმარება „მამულის“ შემთხვევაში იშვიათად გვხვდება). თუმცა საინტერესოა, რომ „სარკინოების“ შემთხვევაში, რომელიც ევროპული „სარაციების“ ქართულ ვერსიად მიიჩნევა, მას თავისუფლად შეეძლო, ეს სიტყვა „მუსლიმებად“ (musulmans) არ ეთარგმნა. ნებისმიერი ვარიანტი – სარკინოზი, გნებავთ, სარაცინი (როგორც ეს არის დამკვიდრებული ევროპულ ისტორიოგრაფიაში) ადეკვატური იქნებოდა. აქედან ჩანს, რომ ბროსეს სურს სიზუსტის დაცვა და ფრთხილად ეკიდება ტერმინოლოგიურ საკითხებს.

ასევე ქვემოთ მოცემულ შემთხვევაში ბროსე ითვალისწინებს კონკრეტულ კონტექსტს და შინაარსის გათვალისწინებით თარგმნის: „ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა **ზორვარი** აღმოსავალისა გრიგოლ ბაკურიანის ძე“ (*ქართლის ცხოვრება* 318). სიტყვა „ზორვარი“ წინამძღოლს, მმართველს ნიშნავს. ბროსემ „ზორვარი“ თარგმნა – le général grec (ბერძენი მთავარსარდალი). მოგეხსენებათ, გრიგოლ ბაკურიანის ძე იყო პოლიტიკური მოღვაწე ბიზანტიის იმპერიაში, ჯერ აღმოსავლეთის, შემდეგ დასავლეთის (ევროპული ნაწილის) დომესტიკოსი (მთავარსარდალი). სწორედ ამ მოცემულობის გათვალისწინებით მ. ბროსემ „ზორვარი“ ბერძენ მთავარსარდალად თარგმნა. აქ საქმე გვაქვს კონკრეტული ისტორიული მოცემულობის, კონტექსტის ადეკვატურ გათვალისწინებასა და მაღალ პროფესიონალიზმთან.

ცხადია, ბროსე ამ ურთულესი ისტორიული წყაროს თარგმანისას ხვდება სირთულეებსაც. ხშირად იგი ზოგიერთ სიტყვას, ტერმინს თუ გამოთქმას ვერ უძებნის ფრანგულ ეკვივალენტს და ითვალისწინებს ადგილობრივ, ქართულ შინაარსს.

მაგალითად, „ხოლო საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვეცხლისანი, **ბაგრატიულნი** სასმურნი და **სამწდენი** პატიოსანნი, კარავნი სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი აიხუნეს იავარად და წარვიდეს“ (*Ibid.* 319).

ტექსტის სქოლიოში მ. ბროსე აღნიშნავს, რომ ის „ბაგრატიულისა“ და „სამწდენოს“ თარგმანისას პირდაპირ თარგმანს არ მიმართავს, არამედ ეყრდნობა ვახუშტი ბაგრატიონს, რომლის მიხედვითაც, „ბაგრატიული“ ნიშნავს ბაგრატის სამსახურში მდგარ პირებს (servant aux Bagratides). რაც შეეხება „სამწდენოს“, სამწდენური ნიშნავს ღვინის სასმელ ჭურჭელს: აზარფემას, ყანწს. შესაბამისად, მ. ბროსე ამ მონაკვეთს შემდეგნაირად თარგმნის – servant, à la table des rois, de coupes précieuses de toutes formes (*Histoire de la Géorgie* 346).

ასევე ტექსტში ვკითხულობთ: „ესეოდენ ადვილად და მოსწრაფედ კელთ უსხნა ღმერთმან საკურველებათამან, რომელ ერთი ათასთა არა თუ სდევდა, არამედ კელითა იპყრობდა, და ორთა არა თუ წარეცქვივნეს

ბევრნი, არამედ **სანთლითა** თვით მათვე ტყეთათ და მთხრებლთათ ტყუედ მოჰყვანდეს ყოველნი ქრისტიანენი“ (*ქართლის ცხოვრება* 328).

მ. ბროსე განმარტებას აკეთებს სიტყვა „სანთლისას“ შემთხვევაში, რადგან სანთლითა აზრობრივად არ ჯდება ტექსტის შინაარსში. მისი აზრით, ამ ადგილას უნდა ყოფილიყო „საბლითა“ ანუ თოკით – avec une corde (*Histoire de la Géorgie* 356), რაც სრულიად ლოგიკურია ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე. ბროსე თარგმანში არ ცვლის სანთელს (თარგმნის, როგორც une torche), თუმცა სქოლიოში საკუთარ აზრს აფიქსირებს ამ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, მთარგმნელი ღრმად იაზრებს ტექსტის შინაარსს და მის რედაქტირებას ახდენს. ამავე ხასიათის პრობლემას წააწყდა მთარგმნელი ტექსტის სხვა პასაჟში:

რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა რომელიცა გამოირჩია მადლმან საღმრთომან ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაჲ გარდაართხა ტაძარი ყოვლად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა, რაბამ რამე აღმატებული ყოველთა“ (*ქართლის ცხოვრება* :329)

მთარგმნელის მითითებით, აზრობრივად უნდა იყოს ერთი სიტყვა – „მეორეცა“ და არა „მეორე ცაჲ“, რომელიც ცვლის შინაარს: “Il déploya un second temple de la très sainte Vierge” და არა “comme un second ciel” (*Histoire de la Géorgie* 358).

ასევე: „...და თუესა თებერვალსა აცნობა ქართუელთა და მესხთა, რათა კლარჯეთს დახუდენ პაემანსა, და თვით **შიდითა სპითა** ხუფთით ჭოროხის პირი წარვლო. და შეკრბეს ერთად, და უგრძნეულად დაესხნეს მათ ზედა, უშიშად გულდებითა მსხდომარეთა ბასიანამდე და მთად კარნიფორისად“ (*ქართლის ცხოვრება* 333).

მ. ბროსეს შესწორება შეაქვს: „შიდითა სპითა“ – ის ნაცვლად შიდა ქართლიდან მოსული სპა უნდა იგულისხმებოდეს. მთარგმნელი იქვე დასძენს, რომ კონტექსტიდან გამომდინარე, სპა შიდა ქართლიდან კი არა, სავარაუდოდ, იმერეთიდან უნდა ყოფილიყო (*Histoire de la Géorgie* 360).

არის შემთხვევები, როდესაც ბროსე რთული კონტექსტის ან კონკრეტული სიტყვის ახსნისას წარმოქმნილ სიძნელებებს სომხურ ლექსიკას უკავშირებს. მაგალითისათვის:

ვინა ესრეთ მიიღო ერთიცა სათნოებათაგანი, ვითარ ვინ ყოველთაგანმან შეიკრიბა ყოველი სრულებით თითოეული, რომელ ყოველთათჳს შეუძლებელ არს დაკვრვება ოდენ, არათუ მიბაძვება, რომლითა სრულ იქმნა იგი ყოველსა შინა, ესრეთ რა აღსავსე იყო

ნავი უფასოთაგან ტვრთთა სათნოებისათა, და არღარა შემძლებელ წარსლვად **ლაღირთა**. (*ქართლის ცხოვრება* 361)

სულხან-საბა არ მიუთითებს ამ სიტყვის წარმოშობაზე, თუმცა ბროსე უკავშირებს სომხურ სიტყვას: ლადეს, ლიდრონ, რაც ბორცვს (*les caps de la mer*) ნიშნავს (*Histoire de la Géorgie* 379).

ასევე:

და არღარა მიუშვა მრავალჟამ სჯად და დაჭირვად სამსხემოსა ამას **კედარსა** შინა მკვდრობითა, და კორცთა ამათ ქუე-დამხიდველთა მიერ შეკრვად სულსა გონება-ქმნულსა, არცა განხრწნადითა გვრგვინითა და პორფირითა, ვითარცა სიზმრითა და ნაოცითა, უმრავლესად მღერად, არამედ ნანდვლ ჭეშმარიტითა და მტკიცითა, წარუდინებელითა და სამარადისოთა“ (*ქართლის ცხოვრება* 363)

მ. ბროსე აღნიშნავს, რომ „კედარი“ არ არის საკუთრივ ქართული სიტყვა, არამედ Cedar – ის იმიტაციაა, რომელიც დავითის ფსალმუნებში გვხვდება, საკმაოდ ბუნდოვანი მნიშვნელობით; ავტორი ამგვარად თარგმნის: *des peines de son séjour dans le temple matériel* (*Histoire de la Géorgie* 380).

ამრიგად, მარი ბროსეს მიერ დავითის ისტორიკოსის თხზულების თარგმანზე დაკვირვებისას შემდეგი დასკვნების გაკეთება შეეძელი:

- მარი ბროსე *ქართლის ცხოვრების* ტექსტების თარგმნისას ცდილობს ზედმიწევნით მიჰყვეს დედანს, უცვლელად გადააქვს თარგმანში ტოპონიმები, საკუთარი სახელები, სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგია;
- გარკვეული სიძნელების გადაჭრას ხშირად სომხური ენის პარალელების მოძებნით ცდილობს;
- ტერმინოლოგიურ/ენობრივ სირთულეებს არ გაურბის და ცდილობს ფრანგული ეკვივალენტის ადეკვატურად შერჩევას;
- რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მთარგმნელი ბრმად არ მიჰყვება ტექსტს: თუ არსობრივი შეცდომაა, კომენტარს ურთავს, განმარტავს და თარგმანში ასწორებს;
- მარი ბროსეს თარგმანის ენა არის გასაგები, მარტივი და კარგად საკითხავი.

ბიბლიოგრაფია

ბარამიძე, არჩილ, „მარი ბროსე და საქართველოს ისტორია, მრავალთავი“, in *ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, XII, თბილისი, მეცნიერება, 1986, გვ. 164-171.

La traduction comme dialogue interlingual et interculturel

თეიმურაზ ბატონიშვილის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაუთმო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1964.

სურგულაძე, მზია, „მარი ბროსე – საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროების მომპოვებელი და პუბლიკატორი, მრავალთავი“, in *ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, XII, თბილისი, მეცნიერება, 1986, გვ. 149-155.

ტაბალუა, ილია, „საფრანგეთის სააზიო საზოგადოება და მისი ორგანო ‘სააზიო ჟურნალი‘“, in *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1978, გვ. 137-142.

ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1955, ტ.1, სახელგამი, თბილისი, 1955.

ხანთაძე, შოთა, *ნარკვევები ევროპული ქართველოლოგიის ისტორიიდან*, ქართული ისტორიოგრაფია, 1, თბილისი, მეცნიერება, 1968.

ჯავახიშვილი, ივანე, *თხზულებანი*, ტ. 10, თბილისი, მეცნიერება, 1992.

Histoire de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'au XIX^e siècle, Traduit du géorgien par M. Brosset, S. Pétersbourg, Imprimerie par l'Académie Impériale des Sciences, 1849.